სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/119

ქ. თბილისი 27 ივლისი 2023წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დებულებებში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, ბექა მაისურაძის სამსახურებრივი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 ივლისის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს:

ა) უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი (დანართი);

ბ) უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი (დანართი);

გ) უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი (დანართი);

დ) უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი (დანართი);

ე) უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი (დანართი);

ვ) უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი (დანართი);

ზ) უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი (დანართი);

თ) უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი (დანართი);

ი) უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი (დანართი);

2. პროექტები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**